საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-765

27/05/2021

ქ. თბილისი

შპს „იემეი ინჯინირინგის“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გაყვანის (ქინძმარაულისა და ჭიჭინაძის ქუჩების მიმდებარედ, „ნავთლუღის“ ელექტროქვესადგურიდან „ბოინგამდე“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 26 მარტს სამინისტროს მომართა შპს „იემეი ინჯინირინგის“ დირექტორის მინდობილმა პირმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „იემეი ინჯინირინგის“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გაყვანის (ქინძმარაულისა და ჭიჭინაძის ქუჩების მიმდებარედ, „ნავთლუღის“ ელექტროქვესადგურიდან „ბოინგამდე“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №49 (01.08.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის №49 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „იემეი ინჯინირინგი“-ს 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გაყვანის (ქინძმარაულისა და ჭიჭინაძის ქუჩების მიმდებარედ, „ნავთლუღის“ ელექტროქვესადგურიდან „ბოინგამდე“) პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს №ი-579 ბრძანება,

თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №49 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „იემეი ინჯინირინგის“ 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გაყვანის (ქინძმარაულისა და ჭიჭინაძის ქუჩების მიმდებარედ, „ნავთლუღის“ ელექტროქვესადგურიდან „ბოინგამდე“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №49; 01.08.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „იემეი ინჯინირინგი“-ს 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გაყვანის (ქინძმარაულისა და ჭიჭინაძის ქუჩების მიმდებარედ, „ნავთლუღის“ ელექტროქვესადგურიდან „ბოინგამდე“) პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს №ი-579 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იემეი ინჯინირინგს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იემეი ინჯინირინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი